



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა  
(დედამიწის მეგობრები - საქართველო)

# გარემო და საზოგადოება

ენერგეტიკა  
მცხეთა-მთიანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი  
საინვესტიციო პროექტები



## შინაარსი

### Contents

მცხეთა-მთიანეთის მხარე.....	3
მცხეთა-მთიანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები .....	6
(29 დეკემბერი 2017 წელი) .....	6
კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით .....	7
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე.....	8
გამოქვეყნებული მემორანდუმები .....	9
მცხეთა-მთიანეთის მხარეში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა.....	10
გამოქვეყნებული პროექტები .....	10
გუდამაყრელების მხრიდან შავ არაგვზე ჰესების მშენებლობის საწინააღმდეგო.....	11
პროტესტმა შედეგი გამოიღო.....	11
გუდამაყრელები ჰესების წინააღმდეგ.....	11
მანიფესტი.....	11
დავიცვათ გუდამაყრის ხეობა ჰესებისგან .....	11
გარემოს დაცვის სამინისტრომ გუდამაყრის ხეობაში „არაგვი ჰესისა“ და „არაგვი 1 ჰესის“ მშენებლობაზე.....	13
კომპანიას უარი უთხრა.....	13
მთის ამბები .....	15
საკადასტრო რუკები .....	16

## მცხეთა-მთიანეთის მხარე







მცხეთა–მთიანეთი ერთ–ერთი უმშვენიერესი და მრავალფეროვანი მხარეა. ჩრდილოეთით ის ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებს: ჩრდილოეთ ოსეთს, ინგუშეთსა და ჩეჩნეთს, აღმოსავლეთით – კახეთის რეგიონს, სამხრეთით – ქვემო ქართლს, ხოლო დასავლეთით კი შიდა ქართლს. ისტორიულ–გეოგრაფიული თვალსაზრისით რეგიონი მოიცავს შემდეგ პროვინციებს: ხევი, ერწო–თიანეთი, ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი და ნაწილობრივ, ქსნისხევი.

მცხეთა–მთიანეთის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში. მისი ფართობი შეადგენს 6785 კვ.კმ-ს, რაც საქართველოს ტერიტორიის 10% –ს შეადგენს, მოსახლეობა – 94.370 ათასს (ქვეყნის მოსახლეობის 2,5%), მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე – 18 კაცს.

მხარეში შედის შემდეგი თვითმმართველი ერთეულები: დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ქალაქი მცხეთა. რეგიონში სულ 480 სოფელი, 6 დაბა და 2 ქალაქია.

რეგიონი მდიდარია ჰიდრორესურსებით. ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნიან მდინარეები: მტკვარი, არაგვი, ქსანი, თერგი და მათი შენაკადები. აღსანიშნავია ბუნებრივი ტბები და წყალსაცავები: ბაზალეთის ტბა, ჯვრის ტბა, ჟინვალის წყალსაცავი, აბუდელაურის ტბები....

მდინარე მტკვარზე აგებულია ზაჰესი, არაგვზე - ჟინვალჰესი, არაგვი ჰესი, იორზე - სიონჰესი; ყაზბეგის რაიონში (თერგი და შენაკადები) აშენდა 1 და იგეგმება კიდევ რამოდენიმე ახალი მცირე ჰესის მშენებლობა.

რეგიონში რამდენიმე დაცული ტერიტორიაა: ყაზბეგის ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკის ნაწილი, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი.

ოთხივე მუნიციპალიტეტი და ქალაქი მცხეთა გამოირჩევა დიდი ისტორიული წარსულით, ძეგლებით, ადათ–წესებით და ტრადიციებით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქ. მცხეთა, რომელიც იუნესკოს ძეგლია. რეგიონის მთიანეთს აქვს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარების შესაძლებლობა: კულტურული, მომლოცველობითი, არქეოლოგიური, სათავგადასავლო, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამთო–სათხილამურო, ბიზნესტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი.

## მცხეთა-მთიანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები (29 დეკემბერი 2017 წელი)

### მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე

პროექტი	კომპანია	საფარადო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	საფარადო უდო დადგმული სიმლა ავრე (მვტ)	საფარადო ფლოური გამოზუვა (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკური კური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
1	არაგვი ჰესი 2	შპს ენერგო-არაგვი	3,500,000	მცხეთა-მთიანეთი	თეთრი არაგვი	1.95	13.00	20.01.2017	-	21.07.2017	21.07.2017	21.01.2019	21.01.2019
2	უძილაურთა ჰესი	შპს უძილაურთა ჰესი	11,330,000	მცხეთა-მთიანეთი	ფშავის არაგვი	8.48	41.48	27.02.2015	27.02.2016	6.11.2018	6.11.2018	6.11.2020	6.11.2020
3	ნაროვან ჰესი	შპს კამარა ენერჯი	1,127,119	მცხეთა-მთიანეთი	ნაროვანი	0.84	3.79	21.03.2017	-	21.03.2018	21.03.2018	21.09.2019	21.09.2019

## კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე (მვტ)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტსთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება
4	კამარა ჰესი	შპს როიალ ბილდინგ ჯორჯია	37,800,000	მცხეთა-მთიანეთი	თერგი	22.20	114.43	21.10.2016	21.10.2017	21.09.2018	21.09.2021	21.09.2021
5	ძეგვი ჰესი	შპს ჯეო ფაუნდ	26,700,000	მცხეთა-მთიანეთი	მტკვარი	15.70	82.40	03.02.2017	03.02.2018	03.10.2018	03.01.2021	03.01.2021
6	ბოდორნა ჰესი	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდ	4,770,000	მცხეთა-მთიანეთი	ბოდორნას რეზერვუარი	2.13	12.50	17.10.2017	-	17.04.2018	17.10.2019	17.10.2019

## ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე

	პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმბლავრე (მგტ)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის წელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის დასრულების ადგენა	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება
7	მლეთა ჰესი	შპს იმედი ინ	4,000,000	მცხეთა-მთიანეთი	თეთრი არაგვი	4.88	31.30	27.02. 2015	27.02. 2016	-	-	-	-
8	ქვეშეთი ჰესი	შპს იმედი ინ	11,000,000	მცხეთა-მთიანეთი	ხადისწყალი	10.37	69.87	27.02. 2015	27.02. 2016	-	-	-	-
9	ბარისახო ჰესი	შპს იუნაითიდეზერჯი გრუპ	12,140,000	მცხეთა-მთიანეთი	ხევსურეთის არაგვი	13.52	64.33	27.02. 2015	27.02. 2016	-	-	-	-
10	ბოჭორმა ჰესი	შპს Iori Hydro	9,810,000	მცხეთა-მთიანეთი	იორი	5.00	32.15	18.06. 2015	18.06. 2016	-	-	-	-
11	მენესო ჰესი	შპს მენესო ჰესი	15,492,000	მცხეთა-მთიანეთი	არაგვი	8.20	40.70	20.02. 2017	20.02. 2018	-	-	-	-
12	ხადა ჰესი 1	შპს ჰიდრო ფაუერჯორჯია	5,360,000	მცხეთა-მთიანეთი	ხადისწყალი	2.60	17.30	29.05. 2017	29.05. 2018	-	-	-	-
13	ხადა ჰესი 2	შპს ჰიდრო ფაუერჯორჯია	2,840,000	მცხეთა-მთიანეთი	ხადისწყალი	1.10	7.50	29.05. 2017	28.02. 2018	-	-	-	-
14	შავი არაგვი 1 ჰესი	შპს სოლოენერჯი	5,226,250	დუშეთის მუნიციპ. ს. თორელანი	შავი არაგვი და ბაკურხევი	3.00	13.60	23.08. 2017	23.11. 2018	-	-	-	-
15	შავი არაგვი ჰესი	შპს სოლოენერჯი	7,968,080	დუშეთის მუნიციპ. ს. თორელანი	შავი არაგვი და ბაკურხევი	5.30	25.20	23.08. 2017	23.11. 2018	-	-	-	-



## გამოქვეყნებული მემორანდუმები

1. [არაგვი ჰესი 2](#)
    - [არაგვი ჰესი 2](#)
  2. [უძილაურთა ჰესი](#)
  3. [ნაროვან ჰესი](#)
  4. [კამარა ჰესი](#)
  5. [ძეგვი ჰესი](#)
  6. [მლეთა ჰესი](#)
  7. [ქვეშეთი ჰესი](#)
  8. [ბარისახო ჰესი](#)
  9. [ყაზბეგის ჰესი](#),
    - [შეთანხმება 1](#),
    - [შეთანხმება 2](#)
  10. [სიონი 1, 2, 3](#),
    - [სიონი 1, 2, 3](#)
  11. [ლარსი ჰესი](#)
    - [ლარსის ჰესი-ცვლილება,](#)
    - [ლარსის ჰესი-ცვლილება,](#)
    - [ლარსის ჰესი-ცვლილება,](#)
    - [ლარსის ჰესი- ცვლილება,](#)
- შეთანხმებები:
- [ლარსის ჰესი,](#)
  - [ლარსის ჰესი](#)
12. [ლარსი 2](#)
  13. [დარიალ ჰესი,](#) [დარიალ ჰესი \(ცვლილება\)](#)

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

## მცხეთა-მთიანეთის მხარეში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა

დაგეგმილი პროექტები						
№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ.)	საშუალო წლიური გამომუშავება (მლნ.კვტ.სთ.)	რეგულირების სახეობა
1	არაგვი ჰესი 1	შავი არაგვი	მცხეთა-მთიანეთი	6.75	31.96	მოდინებაზე
2	არაგვი ჰესი 2	შავი არაგვი	მცხეთა-მთიანეთი	8.66	50.08	მოდინებაზე
3	თერგი ჰესი	თერგი	მცხეთა-მთიანეთი	26.30	136.60	მოდინებაზე
4	თრუსო ჰესი	თერგი	მცხეთა-მთიანეთი	8.70	40.90	მოდინებაზე
5	იორი ჰესი	იორი	მცხეთა-მთიანეთი	9.70	54.00	წყალსაცავი
6	კობი ჰესი	მნაისისწყალი	მცხეთა-მთიანეთი	3.90	18.40	მოდინებაზე
7	მადაროსკარი ჰესი	ფშავის არაგვი	მცხეთა-მთიანეთი	26.35	119.32	მოდინებაზე
8	მოცმო ჰესი	ხევსურეთის არაგვი	მცხეთა-მთიანეთი	6.94	32.99	მოდინებაზე
9	ჩხერი ჰესი	ჩხერი	მცხეთა-მთიანეთი	14.80	68.00	მოდინებაზე
10	ჯუთა ჰესი	ჯუთა, კორი	მცხეთა-მთიანეთი	8.90	42.00	მოდინებაზე

### გამოქვეყნებული პროექტები

[იორი ჰესი](#)

[ჯუთა ჰესი](#)

[კობი ჰესი](#)

[თერგი ჰესი](#)

[თრუსო ჰესი](#)

[ჩხერი ჰესი](#)

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

## გუდამაყრელების მხრიდან შავ არაგვზე ჰესების მშენებლობის საწინააღმდეგო პროტესტმა შედეგი გამოიღო

### გუდამაყრელები ჰესების წინააღმდეგ

#### მანიფესტი

#### დავიცვათ გუდამაყრის ხეობა ჰესებისგან

“2019 წლის 11 იანვარს, გუდამაყრის ხეობაში, სოფელ კიტოხში მოეწყო შპს „სოლო ენერჯის“ მიერ მდინარე შავ არაგვზე და მდინარე ბაკურხევეზე 8.35 მეგავატი სიმძლავრის ორი ჰესის – „შავი არაგვი“ და „შავი არაგვი 1“ სკოპინგის ანგარიშის ფორმალური განხილვა. განხილვის შესახებ მოსახლეობას არ მიუღია სათანადო ინფორმაცია არც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და არც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში, 2014 წლის მონაცემებით (საყოველთაო აღწერის დოკუმენტი), ცხოვრობს 234 ადამიანი. ამათგან, ჩვენი ცნობით განხილვას ესწრებოდა მხოლოდ იმავე დღეს შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული შვიდი მოსახლე. მათთვის არ განუმარტავთ დეტალურად პროექტის შინაარსისა და რისკების შესახებ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ორივე ჰესი დერივაციული ტიპისაა, რაც გულისხმობს მდინარის ბუნებრივი კალაპოტიდან მიღებში გადასროლას. გუდამაყრის ხეობის მოსახლეობის უმრავლესობა ეწინააღმდეგება ასეთი ტიპის ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობას.

მივიჩნევთ რომ:

1. კანონით განსაზღვრული პროცედურების დარღვევითა და გვერდის ავლით დაწყებული საქმიანობა თავიდანვე ეჭვს ბადებს პროექტის მიმართ.
2. გუდამაყარი წარმოადგენს შავი არაგვის ხეობას. სწორედ, შავი არაგვი განსაზღვრავს ხეობის ლანდშაფტსა და კულტურულ ბიომრავალფეროვნებას. შავი არაგვის მილსადენში მოქცევა გუდამაყრელებისთვის აღიქმება, როგორც დარტყმა ხეობის მთავარ არტერიასზე, გუდამაყრელების იდენტობაზე, თავისუფლებაზე და უსაფრთხოებაზე.
3. ტურიზმი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, შეუცვლელი პრიორიტეტია. აღნიშნული ჰესების მშენებლობით მდინარე შავი არაგვის ჭალა მთლიანად იცვლის სახეს, ხეობა კარგავს განვითარების პოტენციალს. შეიზღუდება შავი არაგვის რეკრეაციული დანიშნულებით გამოყენებაც, რაც მარტივად ამოსაკითხია მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშშივე.



## გარემოს დაცვის სამინისტრომ გუდამაყრის ხეობაში „არაგვი ჰესის“ და „არაგვი 1 ჰესის“ მშენებლობაზე კომპანიას უარი უთხრა

18:01, 01.03.2019

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გუდამაყრის ხეობაში „არაგვი ჰესი“ და „არაგვი 1 ჰესის“ წარდგენილი პარამეტრებით მშენებლობაზე კომპანია „სოლო ენერჯის“ უარი უთხრა.

სამინისტრომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტი განიხილა და ჰესის მითითებულ არეალში და წარდგენილი პარამეტრებით მშენებლობაზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, ჰესების მშენებლობა საფრთხეს უქმნიდა ხეობის ლანდშაფტს.

„დღეს სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება და უარი ეთქვა კომპანიას ჰესების მშენებლობაზე. „არაგვი ჰესი“ და „არაგვი 1 ჰესი“ საფრთხეს უქმნიდა იმ ლანდშაფტისბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებას, რაც ამ ხეობაშია, ვსაუბრობ ფლორის უნიკალურობაზე, წითელი ნუსხის სახეობებზე და ა.შ. პროექტი სამინისტრომ ზედმიწევნით დეტალურად განიხილა, რადგან ენერგეტიკის პოტენციალის გამოყენებას დიდ პრიორიტეტად მივიჩნევთ, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ბუნების ხარჯზე. ვერ დავინახეთ სათანადო დასაბუთება წარმოდგენილ პროექტებში. ამიტომ, ეს ჰესები ასეთი პროექტებით ვერ განხორციელდება“, – განაცხადა დავითაშვილმა.

მისი თქმით, პროექტი წინააღმდეგობაში მოდის სამინისტროს მიერ პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტთან, რაც ამ ტერიტორიაზე არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნას უკავშირდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო განმარტავს, რომ „არაგვი ჰესი“ და „არაგვი 1 ჰესის“ მშენებლობა არაგვის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საზღვრებში იგეგმება. არაგვის გეგმარებითი დაცული ლანდშაფტი კი, იქმნება გუდამაყარში, ფშავსა და პირაქეთა ხევსურეთში ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვის, აღდგენის და გონივრულ გამოყენების მიზნით.



„ფლორისა და მცენარეულობის თვალსაზრისით, ფშავ-ხევსურეთი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მხარეა საქართველოში. საქართველოს ფლორის მეოთხედი და კავკასიის მცენარეთა სახეობების ერთი მეექვსედი გვხვდება ფშავ-ხევსურეთში. აქ წარმოდგენილი ფლორის 20-ზე მეტი სახეობა შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში. ფშავ-ხევსურეთში ასევე გვხვდება რეგიონული მასშტაბით ისეთი იშვიათი სახეობები, რომლებიც კავკასიაში თავიანთი მსოფლიო არეალისგან იზოლირებულად იზრდებიან. ენდემიზმის დონე (ენდემურ სახეობათა პროპორციული რაოდენობა) განსაკუთრებით მაღალია მცენარეთა სახეობებს შორის. ფშავ-ხევსურეთის ფლორა შეიცავს საქართველოს 11 და კავკასიის 230-ზე მეტ ენდემურ სახეობას, რაც ნიშნავს, რომ ფშავ-ხევსურეთში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების 22.5 პროცენტი საქართველოს ან კავკასიის ენდემია. გარდა ამისა, მინიმუმ რვა მათგანი მეტად იშვიათი სახეობების კატეგორიას განეკუთვნება“, – განმარტავს სამინისტრო.

ამასთან, უწყების ინფორმაციით, გეგმარებითი დაცული ტერიტორიების დაარსების მიზნით მომზადებულია კანონპროექტი „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“. კანონპროექტის მე-3 მუხლის თანახმად, არაგვის დაცული ლანდშაფტი იქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დაცვის, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისთვის.

„დაგეგმილი ჰესის მშენებლობა გამოიწვევს ბუნებრივი ლანდშაფტების პირვანდელი სახის შეცვლას და უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იქ გავრცელებულ ბიომრავალფეროვნებაზე.

ჰესის განთავსება დაიგეგმა გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საზღვრებში ისე, რომ შეფასების საწყის ეტაპზე არ იქნა განხილული გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შესაბამისი ალტერნატივები და არ შეფასდა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკები, განსაკუთრებით გეგმარებით დაცულ ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ზეგავლენის ასპექტები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროექტის დაგეგმვის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული აქცენტები არ გაკეთდა ბიომრავალფეროვნებისა და წყლის რესურსების შეფასებაზე. ეს კი, ნიშნავს რომ პროექტის განხორციელება დაგეგმილია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ასპექტების შეფასების, შესწავლის გარეშე. აქედან გამომდინარე, სამინისტრომ გასცა უარყოფითი გადაწყვეტილება, ჰესის ამ არეალში და წარმოდგენილი პარამეტრებით მშენებლობაზე“, – განმარტავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.


წყარო: <https://1tv.ge/news/garemos-dacvis-saministrom-gudamayris-kheobashi-aragvi-hesisa-da-aragvi-1-hesis-msheneblobaze-kompanias-uari-utkhra/>

მთის ამბები






IX.4 ყაზბეგის რაიონი  
IX.4 Kazbegi district  
IX.4 Казбегский район






IX.1 მცხეთის რაიონი  
IX.1 Mtskheta district  
IX.1 Мцхетский район







მასალა აღებულია [საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.



გამოცემაზე მუშაობდა: მარიკა ფიროსმანაშვილი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო  
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4  
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: [info@greens.ge](mailto:info@greens.ge)  
ვებ-გვერდი: [www.greens.ge](http://www.greens.ge)